№ 3 6 იანვარი, ოთხშაბათი. 1866—1882 6 იანვარი, ოთხშაბათი № 3

რედაქცია

კალაგანის ბრილიანტის ქუჩაზე. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თბილის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ანუ ათეული ასოზე ნახევარი კაპ., ხელმეორეთ-ოთხჯერ ასოზე 3 შაური.

თუ ხანგრძლივები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან-კი დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დაჯერთა შაური.

გამოდის ორ-კვირაში ერთხელ.

გამოდის ოთხშაბათს, 6 იანვარს, 1882 წელს.

ამა 1882 წელს ეოველ-დღიური გაზეთი „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და ამავ თანაშეწყობილების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, კალაგანის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „იგვერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . 3 „
ნახევრის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . 1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი თუული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სასელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ოთხშაბათს, 6 იანვარს,

თფილისის „ძრუჟოკში“

„თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისაგან შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“

გამართული იქნება „საზოგადოების“ სასარგებლოდ

ბალი

ბილეთის ფასი 2 მანეთი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურულ კაბებით მობრძანდნენ.

არწრუნის თეატრში
ხუთშაბათს, 7 იანვარს
ბენეფისი
ნ. თომაშვილისა

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ქოჩრწილი ხევსურთა

კომედია ანტონოვისა.

II

მაჭანკალი

კომედია გადმოკ. „კაცია ადამიანიდამ“.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 7 1/2 საათზ

«დროების» ფელეტონი, 6 იანვარი.

ჩვენებური

ქართული თვლა და ანგარიში

დედა-მიწის ზურგზე, ყოველ გვარ ხალხთა შორის, ისეთი ხალხიც სცხოვრებს, რომელმაც ოცზე ზევიდ თვლა აღარ იცის. ისიც ჩვენი ხელ-ფეხის წყალობით, თორემ, რომ ოცი თითის მაგიერ ჩვენ ჩვიდმეტი თითი გვქონოდა, თქვენი მტერი, ამ ხალხის არითმეტიკაც ჩვიდმეტს არ გადასცილდებოდა.

ევროპის მოგზაურებს ჩვეულებათა თა აქვთ ამ თვლაზე ლაპარაკის ჩამოგდება, როდესაც იმათ მოხვდებათ ველურ ხალხებთან ყოფნა სადმე ცენტრალურ აფრიკაში, ან ამერიკის ტყეებში. ბევრ ახირებულ და სასაცილო შემთხვევას წააწყდებიან ეს ცნობათ-მოყვარე ბატონები ამ ლაპარაკის დროს. ამხანაგობის კუნძულში მცხოვრებთა, რომელთაც, მგონი, ოცის თვლაც არ იცოდნენ, ერთჯერ კითხა ლაბილარდიელმა: თქვენს ენაზე მილიონი როგორ არისო, ათი და ასი მილიონი როგორო? ადამის ტანისამოსით მოსილ ხის-ქვეშ მცხოვრებთა ამ კითხვაზე ერთმანერთი აათვალიერეს, მაგრამ, რომ არ ეწყენინებინათ გამოჩენილი მოგზაურისთვის და თავიც არ შეერცხვინათ უპასუხეს ისეთი სიტყვებით, რომელნიც ბოლოს უცენზურონი გამოდგნენ. ასი მილიონი იმათ ენაზე ყოფილა ლაოალე. ეს იმდენათ მაინც მართალი იყოს, რამდენათაც მართალია ძლაპროტი, რომელიც სწერს, რომ მეგრულად ათასი ვითიოში არისო (უნდა იყოს ანთასი).

***

მაგრამ თუ კაცობრიობის ერთმა ნაწილმა ოცზე მეტი თვლა აღარ იცის, მეორე ნაწილმა თვლა ანგარიში იმ ზომამდის მიიყვანა, რომ კარგა დახელოვნებული ბუხღალტერის, ან მატემატიკოსის კალმის ქვეშ იმას სამზღვარი ეკარგება.

ერთმა ძველმა ფილოსოფოსმა, პითაგორმა, ამ რიცხვებზე მთელი ფილოსოფიური სისტემა გააშენა. ეს სისტემა იმდენად საინტერესოა, რომ იმისი გზა-გზა მოგონება, მგონი არ იყოს უადგილო ამ ფელეტონში, რადგანაც ამ ფელეტონმაც რიცხვებზე უნდა ელაპარაკოს მკითხველს.

ამიტომაც ერთი ორი მინუტი ამ სისტემის მოგონებას.

„დიდი ფილოსოფოსი — როგორც ყველა მისი ძველი და ახალი თანამედროვენი—ქვეყნის არსებობის მიზეზს და საუკუნო არსებას ეძებდა. იმან ასე გასაჯა: ბუნებაში არა საგანს არ შეუძლია იყოს საუკუნო, რადგანაც ყოველი საგანი იბადება, კვდება, ნაწილდება... ყოველ საგანს მხოლოდ ერთი თვისება რჩება საუკუნოთ; ის თვისება, რომ საგანი არის ერთი. რაც უნდა ჰყო ეს საგანი, ყოველი მისი ნაწილი ყოველთვინ, საუკუნოთ, იქნება ერთი. ამისთვის ეს საუკუნოც უნდა იყოს ერთი. რიცხვი მხოლოდ არსებობს საუკუნოდამ; სული ყველაფერი დანარჩენი ამ რიცხვის კოპიო არის. რიცხვი არის უკანასკნელი მდგომარეობა, რომლისამდისაც მივყავართ ჩვენ საგნების ანალიზს. ის არის უკანასკნელი, კაცის კანონებისაგან მისაწდომელი საუკუნოს მდგომარეობა. საუკუნე უნდა იყვეს ერთი. ერთი არის დაუსრულებელი რიცხვი; იმას სხვა რიცხვების მეზობლობა არა სჭირია. ორი მხოლოდ ერთის ერთთან დამოკიდებულება არის... მაგრამ შევწყვიტოთ აქ ეს ანტონ ქათალიკოზური და ნიმუშათ მოვიყვანოთ პითაგორის აზრი მასზედ, თუ რა რიცხვს რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის.

პითაგორის აზრით:

ერთი საუკუნო რიცხვია, სამეუფო ბეჭედი...

ორი უთანხმობა და ავ-კაცობა.

სამი სრული ჰარმონია და უმაღლესი სიდუმლოების საცავი.

ოთხი იდეა ღმერთზე და მის დიდებაზე.

ხუთი—ცოლ-ქმრობის ემბლემა.

კვირა დღეობით ვაჭრობის აკრძალვა

თფილისი, 5 იანვარი.

წასულ წელს რუსულს გაზეთებში ლაპარაკი იყო, რომ კვირა დღეობით ვაჭრობა აკრძალული იქმნეს მთავრობისაგან; დუქნები დაიკეტოს და ბაზრები არ იყოს. ამავე საგანზე ეხლა ხელ ახლავ დაიწყო ლაპარაკი და ხარკოვის ზემსტვოში (ერობაში) ამაზე ბაასია. საზოგადოთ ეს ისეთი საგანია, რომელსაც მართლა ყურადღების მიქცევა ეჭირება. ჩვენ სრულიად თანაუგრძნობთ ამ აზრსა.

ევროპის ყოველ ვანათლებულ ქვეყნებში კვირას და დიდ დღესასწაულ დღეს ხალხი ისვენებს და დღესასწაულობს. მართალია მოგების, ვაჭრობის საქმე ევროპის ხალხმა სხვებზე უკეთესად იცის, მაგრამ კვირაში ერთი დღე სულიერად და ხორციელათაც დარ ნებაც საჭიროდ მიაჩნია. კვირა დღეობით დუქნები და ბაზრები დაკეტილი ასე გაშინჯეთ საცა სასმელ-საჭმელსა ჰყიდიან, ისიც კი. სადილის ჭამა რომ გინდოდეთ, რესტორანებში, თუ დანიშნულ საათებს გადააცილეთ მშიერი დარჩებით. ხალხი ამას მიჩვეულია და წინათვე თადარიგის დაჭერა იცის.

ჩვენში მეტადრე ქალაქებში კვირაობით დუქნის პატრონი თავის სარგებლობის გულისთვის, არც თავის თავს ასვენებს, არც თავის პრიკაშჩიკებს, არც შაგირდებს და არც მსახურეს ზადის მთელი თვეები და წელიწადი ამგვარათ. სახლისა და ცოლშვილისაგან მოშორებულნი ბრიან და ოჯახობის ალერსი, სიყვარული ადამიანთან ყოფნა, გონების შესვენება, ავ-კარგზე დაფიქრება იმათგან შორს არის. ძაცი ემსგავსება რალაცა უსულო მაშინას, რომელსაც გროშების ანგარიშის მეტი და უგულო სამსახურის მეტი არა ესმის-რა. ვაჭარ კაცს აღარა რჩება დრო რომ კვირაში ერთი დღე მაინც მოსვენებით მოიფიქროს თავის საქმეები, იმისმა ხელქვეითმა წელი გაისწოროს და ცოლშვილში ტკბილი სიტყვა გაიგონოს ან გაავონოს.

ევროპის ქვეყნებში კვირა დღეს ვაჭარი ხელოსანი ან მუშა კაცი შინა ზის თავის ოჯახობაში, თავის საქმეებს არჩევს, ბაასობს, რჩევა აქვს, კითხულობს წიგნს ან სასულიეროს ან სახორციელოს, მეგობრებს ხედავს, ხალხში წავა, დროს გაატარებს და ჭკუას შეიტყობს. ზონება უნათლდება, გული უპატიოსნდება, ჭკუა ეხსნება და ამით კი არა ჰკარგავს, პირიქით უფრო მოგებაშია; ამიტომ რომ გონიერს კაცს უფრო თვალი შორს უჭრის, უგუნურ გონება გაუხსნელ თვალ-ბრმა კაცზე.

აბა შეხედეთ ჩვენ ვაჭრებს, რას დამსგავსებიან. მუშა პირუტყვებს გვანან, რომელთაც ერთად ერთი სურვილი უძევთ გულში როგორ გაატყაონ, მოატყუონ, ძირი მოუთხარონ კაცს და ჯიბე გაისქელონ. შეხედეთ

სხვა-და-სხვა წვრილ და დიდ აღებ-მიცემის კაცებს, ხელოსნებს. რა მცირედიღა შერჩენიათ მათ არამც თუ ადამიანის გული, თვით სახის მეტყველება. აი სადამდის მიდის მუდმივი მოგების ზრუნვა, რომელი კაცს აშრობს და ჰკლავს მასში ყოველ პატიოსანს გრძნობას.

რასაკვირველია კვირა დღეობის მათის დუქნების დაკეტვა დიდათ არ გამოსცელის იმათს ხასიათს, მაგრამ ცოტათი მაინც; უმეტესად ის უნდა ვაქონიოთ მხედველობაში რომ იმათს ხელქვეითებს თავის უფალს ერთს დღეს მისცემს ღონის შესაკრებათ.

ძალიან კარგი წესი იქნებოდა მართლა რომ კვირა დღეობით სრულებით აკრძალული ყოფილიყო ვაჭრობა თვით ყასბების და მეფურნეების დუქნებშიაც, იარმუკები და ბაზრები. რასაკვირველია ჩვენში ქრისტიანობას გარდა დიდ ძალი მაჰმადიანობა არის. იმათი ძალის დატანება კვირა-დღეობით უქმობისა არ შეიძლება.

დღიური

მთიდგან გვატყობინებენ, რომ ქობსა და ბუდაურს შუა ჩამოსული თოვლის ზვავები და შეუკრამს გზა.

ამ გვარი ზვავები ყოველ-წლივ ჩამოდის ამ გზებზედ და არა თუ მარტო აყენებს მგზავრებს და კორესპონდენციას, არა იშვიათად ბევრს უბედურებასაც მოახდენს ხოლმე ისე ზამთარი არ გაიელი, რომ რამდენიმე უბედურება არ გავიგონოთ იმ ადგილებიდგან, მაგრამ დღეანდლამდინ არავითარი საშუალება არ მიღებულა იმათ ასაცდენად, გარდა ორი ადგილისა, სადაც დახურული გალერეია არის გაყვანილი და ზვავები ზედ ისე გადადიან, რომ მგზავრებს ველარ ეენებენ.

საკვირველია რომ აქამდინ არა ცდიდნობენ გააკეთონ ან ამისთანავე გალერეიები, ან არდაქანქარა (ტონელი) რომელიც სამუდამოდ ააცდენდა მგზავრებს ამ უსიამოვნო მდგომარეობას. ამის გარედ მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ომიანობის დროს რა გაჭირებას შეადგენს ეს ადგილები როგორც ჯარების გადაყვან-გადმოყვანის აგრეთვე სურსათის ზიდვის დროს.

* * *

ვგაზეთს ქაეკაზს მიუღია ცნობა, რომ ბ.ბ. სოტბეს, უეილკინსონს და ბოდგესლონდონში სხვა წიგნებთა შორის გაუყიდნიათ ხელთ-ნაწერი ცნობები საქართველოს დაარსების შესახებ. ეს მასალები გაყიდულა 150 გირ. სტერ., ე. ი. 1500 მანეთად.

* * *

ბუშინ 4 იანვარს იყო გამართული შინაური კონცერტი, რომელზედაც სხვათაშორის მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ტრუპის არტისტებმა: ქ. მესხიმ, ვ. მესხიევმა, ქ. ფიფიანმა, ბ. მოხეევ და ბაბუნიას ქალი-კი არ მოვიდნენ კონცერტზედ თუმცა გამოცხადებულნი იყვნენ აფიშაში პირველი ავათმყოფობის მიზეზით და მეორე საზანდარის უყოლობის მიზეზით. ჩვენ გვჯერა, რომ ამ ორივე პირს შესაწყენარებელი მიზეზი ჰქონდათ, მაგრამ მაინც არ შეგეიძლიან არა ესთქვათ, რომ ამ უკანასკნელა ხანში მეტათ ჩქარ-ჩქარად აცხადებენ ქართველი აქტიორები თავიანთ სახელებს და სცენაზედ-კი აღარ გამოდიან მაშინ, როდესაც საზოგადოებასთან მაგ გვარი ხუმრობა არ ვარგა.

თუ არა სურთ რომელიმე წარმოდგენაზედ მიიღონ მონაწილეობა, მაშინ ვინ ატანს ძალას რომ თავიანთ სახელებს აცხადებენ.

* * *

წასულს თვეს, ხარფუხში, ერთს სახლში ერთი თათარი შევარდნილა და ორი ქალი მოუკლავს (დედა და შვილი). ამბობენ, ვითომც მიზეზი სიყვარულიაო. მკვლელი ჯერ ვერ დაუჭერიათ.

* * *

სამცხე-საათაბაგოში მცხოვრებ ქართველებისთვის თ. სოლომონ ტუსიშვილმა შესწირა ასი ეგზემ. პოემისა „ცმაწვილი და ფრინველი“. ბ. არსენ ქალანდაძემ 20 ეგზ. პოემისა „ვარდ-ბულბულიანი“, მეფის თეიმურაზისა და 20 ეგზ. კამედია „ეექიმბაში“ თხუზ. მელვინე-თხუცესოვისა.

* * *

ჩვენ გავიგონეთ რომ მომავალს კვირაკ, ამ თვის 10, ანჩხატის სობოროში იქნება ქართული გალობა. ჩვენ ქართველები იქამდინ დანატრებულები ვართ ამ გვარს შემთხვევას, რომ უყვარველია დიდს ხალხს მიიზიდამს. იგალობებენ ქართლ-კახეთის კილოთი. როგორც შევიტყეთ ბ. ქარბელოვები მიიღებენ ამ გალობაში მონაწილეობას.

„დროების“ კორესპონდენცია

ზავახეთი, 28 დეკემბერს. თქვენ პატივცემულ გაზეთმა მოგვიტანა, სამწუხაროდ ჩვენდა, სამდურავი ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების სკოლებზედ ახალ-ქალაქის და ახალ-ციხის მაზრებში, — მითომ ამ სკოლებში ქართულს ენას არ ასწავლიანო, რუსულს და თათრულს მისდევენო. ეს ამბავი არ არის დასაჯერი: წინეთაც ასწავლიდნენ და ახლაც ასწავლიან ქართულს ენას, მაგრამ ვაუმჯობესობა და წინ-მსვლელობა ამ ენის სწავლისა საჭიროა. თუ ეს სკოლები არ გაუქმდნენ. ამ მაზრაში ახლათ მოხდენილ ცვლილების გამო იმედია რომ ქართული ენა საკმაოდ გაუმჯობესდეს და თუ გაუქმდნენ, — მაშინ ახალ ახალ სკოლებში რუსულ და ქართულ ენის სწავლას მოემატება სომხურიც. ამ ენებში რომელი ენა გამეფდება, ნამეტურ სომხებში, ყველამ იცის. შესახებ მასწავლებელისა კი უნდა ვსთქვათ: ვინც კაცია და უყვარს თავის ქვეყანა და სამშობლო ენა, უეჭველია, რომ თავის მოვალეობას ენერგიულად შეასრულებს.

ახალი ცვლილება ამ ჩვენ ახალ-ქალაქის მაზრაში შესახებ სკოლებისა არის საყურადღებო მოსავლენი საქმე: გამავალს წელს დეკემბრის თვეში ბატონმა მაზრის უფროსმა დრაზდოვმა დაიარა მინდობილი მისთვის ცხრა სოფლის საზოგადოება და გაამწესა ახლად სტარშინები; მასთანვე განიზრახა ახალი სახალხო სკოლების დაარსება და, რასაკვირველია, ამ სასარგებლო საქმის აღსრულებაში მოყვანა საჭირო იყო. როდესაც მაზრის უფროსი მოვიდა ბარალეთის საზოგადოებაში, სხვათა შორის აქაც გამოუცხადა ხალხს თავისი განზრახვა; და რადგანაც ამ სოფელში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას აქვს სკოლა, ამისათვის შეკრებულ ხალხს ბ-მა დრაზდოვმა გამოუცხადა შემდეგი: თქვენი სკოლა საჭიროებს გაუმჯობესობას, მაგალითად საჭიროა დაემატოს სახელოსნო და ქალების სასწავლებელიცაო. რადგანაც თქვენ სკოლის მთავრობას არა აქვს მეტი შეძლება, ამისთვის გთხოვთ სასარგებლოთ თქვენი შვილებისა ორი მა-

---

ექვსი—სამართალის ემბლემა.

შვიდი—კაცთა საქმეთ წარმავალობა.

რვა—კაცის თანასწორობის ემბლემა.

ცხრა—კაცის და სიმდიდრის წარმავალობა.

ათი—ბუნების საკვირველება, მშვიდობიანობის და მეგობრობის ნიშანი.

პითაგორმა და მისმა შეგირდებმა მიწაში ჩაიტანეს იმათგან გამოგონილი სიიდუმლოების გასაღები. ვინ იცის რატომ უნდა იყვეს ხუთი ცოლქმრობის ემბლემა, ექვსი—სიმართლის და სხვ...

ძვემოთ დავინახავთ რიცხვის სხვა გვარ მნიშვნელობას. ეხლა რა კი ფილოსოფოსს მივეცით საპატიო ადგილი, დაუბრუნდეთ თვლას და ანგარიშს.

* * *

თვლისა და ანგარიშის ქაღალდზე გადასატანათ სხვა-და-სხვა ხალხებს სხვა-და-სხვა გვარი ნიშნები უხმარნიათ.

ბანათლებულ ქვეყნებში ხმარობენ არაბულ ციფრებს: 1, 2, 3. ეს ციფრები, რომლებიც რუსების შემოსვლის შემდეგ ქართველებმაც შევითვისეთ, პირველად შემოღებულ იქმნა ვეროპაში მეათე საუკუნეს, პაპა სილიბისტრო II დროს. ფრანცუზის მწერალი ფლორიან—ფარაონი, რომელიც ნაპოლეონ III ახლდა, იმის ალჟირში მოგზაურობის დროს, ამ გვარათ ამბობს ამ ციფრების გამოგონებაზე. პირველი ცხრა ციფრები თურმე არიან გადმოღებულნი სოლომონ მეფის ბეჭდის თვალიდამ. ეს თვალი, როგორც ამბობენ, იყო ოთხ-კუთხიანი და ხაზებით იყოფებოდა იმ გვარათ, რომ ამ ხაზებიდამ გამოდიოდა პირველ ცხრა ციფრი ჩვენის ნუმერაციისა.

ებრაელებს, ბერძნებს, ინდოეთლებს რომაელებს და პეტრე პირველის წინ რუსებს, არაბული ციფრების ნაცვლად, ქაღალდზე ანგარიშის გადასატანათ ჰქონდათ ანბანები.

* * *

ჩვენ წინაპართაც ქართული ანბანები ჰქონდათ თვლა-ანგარიშის ნიშნებათ.

ორი სხვა-და-სხვა გვარი მნიშვნელობისა იყვნენ ეს ანბანები: ერთი უბრალო თვლისათვის და მეორე ფულების საანგარიშოთ.

უბრალო თვლა: ა—ერთი, ბ—ორი, ჭ—ათი ათასი ყველას გვისწავლია ვისაც სერგეი მდივანოვის „ქართული ანბანი“ მაინც გვჭერია ხელში. ამაზე ლაპარაკი აქ უადგილო იქნებოდა.

ფულის ანგარიში კი უფრო ძნელი სასწავლებელი და ძნელი დასამახსოვრებელი არის.

ქართული ფულის სახელები იყო: ფული (1/2 კ.), ბისტი (2 კ.), შაური (5 კ), აბაზი (20 კ.), მანეთი (100 კ) და თუმანი (ათი მანეთი).

ამ ფულების ქაღალდზე დასაწერათ ოც-და-ცხრამეტი ქართული ანბანის ასოებიდამ ხმარობდნენ მხოლოდ ოცდა-რვას. პირველი ორი ასოები ამ ანგარიშისა არის ორი პირველი ხმოვანი ასოები ე და ი. პირველი ნიშნავს—ერთ ფულს და მეორე—ორ ფულს. ბაყოლებით ასოების მნიშვნელობა იწყება კ-დამ. თითონ კ არის ორი კაპეიკი, ლ—სამი კაპეიკი, მ—ოთხი კაპეიკი და ამ გვარად მიდის თითო ასოების და კაპეიკის დამატებით რ-დის, რომელიც ნიშნავს ორ შაურს. რ-დამ დაყოლებული ჩ-დის (რომელიც ნიშნავს მანეთს) ყოველ ასოზე აბაზს ემატება ორი შაური: ს რომ აბაზია, ტ—ექვსი შაური, უ—ორი აბაზი და სხვ. ჩ-დამ დაყოლებული ჰ-დის თითო ასოზე ემატება მანეთი: ც რომ ორი მანეთი, ძ—სამი მანეთი, წ—ოთხი მანეთი, ჰ—ცხრა მანეთი.

არ უნდა დავიიწყოთ, რომ როგორც უბრალო თვლიდამ, ფულების ანგარიშიდამაც გამოგდებულია ასო შემდეგ უ-სა—ვ.

ეს ასოები კი გავათავეთ, მაგრამ თუმნამდისაც კი ვერ მიგვიწევია. არ ვიცი შემთხვევითაა, თუ განზრახ, მაგრამ ჩვენი ქართული ასოები ისე არიან მოყვანილნი ანგარიშისთვის, როგორც არაბული ციფრები, რომლებიც ცხრამდის მარტო ადიან და ცხრის შემდეგ ერთი-ერთმანერთზედ დამატებით და 0 შემწეობით გამოსახვენ რაც გინდა რიცხვი იყვეს. ცხრა მანეთის იქით ანგარიშის გამოსასახავად ჩვენები ისევ იმ ანბანებს ხმარობდნენ, მხოლოდ ანბანს ზემოდ უსვამდნენ ◡, რომელიც ქართულად გამოისახებოდა ასოს ზემოდ გასმულ

ნეთი კომლზედ წარმოადგინოთ და მეც დიდად მადრიელი დავრჩებითო.

რა გაიგო ახლად-გაღვიძებულმა ხალხმა სკოლის გაუმჯობესობა ხელოსნობის და ქალების სასწავლებელის დამატებით, ქართველნი თუ სომეხნი, ერთ-ხმით დაიძახეს—ურა! და გამოუცხადეს თანახმობა ამ წინადადებაზედ. შეუდგინეს საზოგადო პირობა და მოაწერინეს ხელი კანონისამებრ.

შემდეგ რამდენიმე თვისა ყველა მამასახლისები და რამდენიმე კაცი ბარალეთის საზოგადოებიდგან იყვნენ დაბარებულნი, სადაც ხელ-მეორედ გამოუცხადა მაზრის უფროსმა: „თქვენ ახლად უნდა გააშენოთ სამ ადგილას სკოლებიო, წადით მოილაპარაკეთ და თქვენი აზრი მაცოდინეთ ბარალეთის სკოლა შეიძლება დაიკეტოს თუ არაო“. ამ საქმის ხალხისთვის ჩასაგონებლათ და სუა ალაგის ამოსარჩევათ ძიანდეს ამავე საზოგადოების სკოლის მასწავლებელს ბ. წითლანაძეს, რომელმაც მოლაპარაკების შემდეგ ხალხითურთ ამოირჩია შუა სოფლები სომხისა: ქაჭიო, მერენია, ზომი და ქართული სოფელი ქოთელია.

როდესაც ეს ამბავი საერთოდ ყველა ქართველებმა გაიგეს, დაიწყეს ხელის ფშვნეტა და ვაი-ვაება, თუ ეს რა გვეწია; ჩვენ გვითხრეს ძველი სკოლა უფრო გავაბრწყინოთო და სხვასაც უმატებდნენო, ჩვენი პირობაც ასე იყოვო, ამას რა ეშველებაო! ჩვენ, ქართველებს თავათაც ცალკე გავიშენებია სკოლა და ყმაწვილებსაც გვასწავლიანო. ბავსწყდებით ერთამდინ და ხელ-მეორედ სკოლას სხვაგან არ გავაკეთებთო. მე მგონია, თხოვნაც მიუციათ ქრისტიანობის ალმადგინებელის საზოგადოების მთავრობისათვის, რათა იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს მასზედ რომ შეკრებული ფული ქართველებიდგან დაუბრუნდეს სკოლის მთავრობას. რა პასუხი იქმნება,—არ ვიცით.

ამ ჯერათ ჯავახეთში არ არიან რიგიანი სტარშინები, სუყველანი ქრთამის მოყვარულნი და ურიგობის ჩამდენნი არიან. უფრო ნამეტურათ თავ-ბედს იწყეველიან ბარალეთის საზოგადოების მცხოვრებნი ამ ნაირი სტარშინა არაოდეს არ გვყოლიაო. დიახაც მართალია. ჩვენს გლეხებში ვინ გამოვა კანონის მცოდნე, მაგრამ სვინდისი კი ყველას უნდა ჰქონდეს. ეს ახალი სტარშინა საქმეებს ყურს არ უგდებს, სასოფლო სასამართლოში ორ-თვეობით არ გაიელის და სოფლებში კი სულ დაიარება. რას აკეთებს? ქეიფს ეწევა, ზოგს ატყუებს ზოგსაც სცემს, რადგანაც თავის უფროსის შიში არა აქვს. ამ ერთი წლის განმავლობაში თავის ხელობაში ისე გამოიცადა და პირი აართვა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ თითონ მაზრის უფროსი საჭირო საქმისათვის იბარებს და ვერ წაუყვანია. ამ ბოლოს ჩაფრებით და ურედნიკით ეძებენ, მაგრამ სტარშინა ვერ უშოვნიათ. ჩვენს პატარა მიკუჭნულ ახალქალაქის მაზრაში ამ გვარი უწესობა თუმცა ბევრი მძვინვარეობს და მომტირალიც არის,—პატრონი კი არა ჩნდება.

პატარა ჯავახი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. ლელო, თავის თეატრალურ ქრონიკაში დაბეჭდილს „დროების“ ამ წლის 2 №-ში სწერს: „მას აქეთ, რაც ბატ. მოჩხუბარიძემ „დროების“ თეატრალურ რეცენზენტებს („დროებაშივე“) ენის წაგრძელება გვითხრა....ენა დავიმოკლეთ“.

მე დიდი მოხარული ვარ, რომ ჩემს რჩევას ისეთი მოქმედება ჰქონია ბ.ბ. „დროების“ რეცენზენტებზედ, რომ პირველივე რჩევის შემდეგ „ენა დაუმოკლებიათ“.

ეგ ამტკიცებს, რომ ისინი იქამდინ ყოფილან გონიერნი და მოაზრებულნი, რომ პირველი სიტყვიდგანვე გაუგიათ ჩემი სიტყვების სიმართლე და თავიანთი თავმოყვარეობა შეუწირავთ გონიერულის სიჩუმისთვის. ისიც დიდი საქებურია, რომ დაუთმიათ თეატრის საქმის მცოდნე ეჰბესათვის რეცენზიების წერა. ვუცხადებ ბ.ბ. რეცენზენტებს ჩემს გულუხვს მადლობას.

ამ ბ. ლელოს წერილმა მე იქამდინ მასიამოვნა და იმედი მომცა შემდეგისათვისაც, რომ მე ეხლაც არ დავიზარებ კიდევ რამდენიმე რჩევა მივცე, რომელსაც ბატ. ლელო, უეჭველია, დამიჯერებს.

ეს რჩევა გახლავს შემდეგი:

თქვენი რეცენზიები არ ჯარგა და გირჩევთ ისევ გონიერად ენა დაიმოკლოდ.

თქვენი კეთილის-მყოფი, რომელიც მზა არის ყოველ დროს დაგიჩენოსთ შეცდომა

ს. მოჩხუბარიძე.

ბატონო რედაქტორო!

ბორის უეზდში სოფ. რუისს 1877 წელსა დავაფუძნეთ ბანკი; ამ საქმეში დ დი შრომა და შემწეობა მიიღო თ. ნ. დ. დიასამიძემ. მე უნდა საზოგადოთ ვაღვიარო, რომ თუ თ. დიასამიძე არა მყოლოდა ახლო მეზობლად რუისისა, მე ვერ გავბედავდი ბანკის გახსნასა, რადგანაც მე-ფეოდორ სოფელში არა ვცხოვრობ, გარდაორის თვის ზაფხულისა.

ნ. დ. დიასამიძემ რუისის ბანკის საქმე ისე ჩინებულათ წაიყვანა, რომ 1880 წლამდისინ ეს ბანკი სამაგალითო იყო. ამ უკანასკნელს დროს ნ. დ. დიასამიძეს ბევრი საკუთარი საქმეები გაუჩნდა და იმდენ დროს ველარ აძლევდა ბანკის საქმეს, როგორც საჭირო იყო და მაშინვე დაეტყო ეს ბანკის წარმოებას. ხუთასი თუმანი ფული ბანკს აქვს და მეტიც გასესხებული და სესხი დროზედ არ შემოდის. თუ ისევ ნ. დ. დიასამიძემ ხელი არ მოკიდა ამ ბანკს ამის საქმე ცუდათ წავა, იქნება კიდეც მოისპოს. მაქვს იმედი, რომ ნ. დ. დიასამიძე მისცემს თავისებურ აწინდელს შემწეობას. თუმცა თავისი ბევრი საქმე აქვს, აღადგენს და ფეხზედ დააყენებს უწინდებლივ ამ ბანკსა. ამას გვარწმუნებს ნ. დიასამიძის თანაგრძნობა ყოველივე სასარგებლო საზოგადო საქმისა.

ჯ. ხ. მამაცოვი.

1861 წ. 2 ივნვარს.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალეგიჩი და ლისიცეგი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცეგი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათ-

---

ი-სავით ქვემოდ გაღუნული ხაზით *). ა-ნი ზემოდ გასმული ხაზით ნიშნავდა თუმანს, ბ—იმ გვარიევ ხაზით ორ თუმანს, ჯ—იმავე ხაზით ათი ათას თუმანს.

თუმნების ანგარიშში მარტო ოცდა-რვა ასოს კი არა, სულ ყველა ასოებს ხმარობდნენ: ერთი და იგივე ასო შ, მაგალითად, ნიშნავდა: თავზე ხაზით—ცხრა-ასს თუმანს და უხაზოთ—თვრამეტ შაურს. ასე რომ კაცს უნდა ბეჯითად სცოდნოდა ეს ორ გვარი ანგარიში,—ერთი უბრალო თვლისა და მეორე ფულის ანგარიშისა—რომ შეცდომა არ მოსელოდა.

ც უბრალო თვლაში იყო ათი ათასი, ზემოთ ხაზ-გადმოფარებული—ათი ათასი თუმანი. არც ქართულ წიგნებში შემხდომია და ვერც ჩემით მიმიგნია, როგორ იწერებოდა ამ ათი ათასზე ზევით რიცხვები. როგორ იწერებოდა, ხუთასი ათასი? მილიონი და სხვ.

მართალია, ქართულ ენაზე ხმარობდნენ ორ ისეთ სიტყვებს, რომლებიც გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ამ რიცხვებს არც კი სწერდნენ ძველათ. ეს სიტყვები არის: ბევრი და ბევრის-ბევრი. ათი-ათასზედ ამბობდნენ ბევრი არისო და მილლიონს ერქვა ბევრის-ბევრი. ციფრებით, ვინ იცის დაწერილა თუ არა ეს რიცხვები როდისმე.

მაგრამ, ვთქვათ, რომ ეს რიცხვები არც კი დაწერილ-იყვნენ. შეიძლებოდა დაწერილიყო ჩვენი ანბანებით ეს ციფრები თუ არა? შეიძლებოდა, ვთქვათ, 522,472 დაგვეწერა ამ გვარათ: ნცკბუობ? ძითხვა გამიხსნია და პასუხი მცოდნე კაცების იყოს.

* *

ეხლა ვიჩხირ-კედელაოთ, მკითხველო, რაკი ჩვენს საქმეს მოვრჩ.თ. რა საკვირველია, რიცხვებზე.

ყოველ კაცს და ყოველ ხალხს თავისი საყვარელი და უამო რიცხვი აქვთ.

რატომ უყვართ:

რაჭველს—ცხრ.-პური.

ქართლ-კახელს—ცხრა მთა.

ურიებს—შვიდი დღე, შვიდი ცა, შვიდი კვირე.

ოთიუზბირის მომგონს ოც-დათერთმეტი.

რუსის ჩინოვნიკებს—ოცი.

რატომ სძულთ:

ყოველ ქვეყნებში—რიცხვი ცამეტი.

სამი სამთელი რო აანთონ, რატომ უნდა ან ერთი გააქრონ, ან მეოთხესაც მოუკიდონ.

რატომ უთქვამთ:

ორი და ორი—ქალების ჭკუაში წმიდა სამთელიაო (ტურგენევი) და ავაზაკების გამოანგარიშებით ოც-და-ორიო (ლეკოვი).

ახალ-გაზდა, სიცოცხლით სავსე კაცისთვის ერთი 50 წლის ქალს რატომ სჯობს ორი 25 წლიანი (ბაირონი).

ბავთაოთ ეს ჩხირ-კედელაობა ორიოდე ისტორიული მოგონებით:

სამეალ საუკუნეში არისტოტელეს შეგირდები პატივსა-სცემდენ 5040-ს რადგანაც ეს რიცხვი ყველა არითმეტიკის ციფრებით იყოფოდა უნაშთოდ.

ძველები—ებრაელები, ბერძნები, სპარსელები ანბანებისგან გამოხატულ რიცხვებით წინასწარმეტყველებდნენ. ეი ერთი ამათი წინასწარმეტყველება: ორ, დუელში გასულ კაცებისგან, ცოცხალი გადარჩება ის, რომლის სახლშიაც ანბანებს უფრო ბევრი რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად:

ბერძულათ ჰეკტორს, პატროკლოსს, ახილლეუსს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ტროადის ომში ანბანებით აქვთ შემდეგი რიცხვი:

ჰეკტორს—1225.

პატროკლოს—871.

ახილლეუსს—1276.

მართლაც ჰეკტორმა მოკლა პატროკლოსსი და თითონ მოკლულ-იქმნა ახილლეუსისაგან.

ახლა, მკითხველო, ამ გამოანგარიშების კვალობაზე თქვენ თითონ იანგარიშეთ რა უფრო ხანგრძლივია ამ წუთ სოფელში და ამაზე შევწყვიტოთ ამ ანგარიშზე ლაპარაკი.

ი. მეუნარგია.

1880 წ.

---

*) ამ გვარიევ ხაზი, შუაზე ორ სხვა ხაზებით გადაჭრილი, იხმარებოდა ძველ რუსებში ათასის ნიშნათ ეს ნიშანი უკეთდებოდა ასოს მარცხნით.

ი. მ.

მეოთხობისა; ბასუტოები—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ლისიცკი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოები—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტე ავათმყოფობისა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოები—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

ᲨᲕᲐᲡᲙᲔᲕᲘ. მინკევიჩი — სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოები—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოები—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲣᲙᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ

საკუთრივ თეგზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანის წყლებიდამ საგანგებო თეგზეული: შამაია, დოში, ზურვიელი და ხიზილალა. ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲐᲗᲐᲪ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲜᲑᲘᲗᲐᲪ. ᲐᲥᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲓᲝᲨᲘ (2—1)

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲝ ᲡᲣᲤᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲐᲜ ᲕᲠᲘᲓᲐᲛ ᲣᲑᲘᲚᲔᲗᲝᲓ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲠᲛᲐᲚᲣᲚᲘᲐ; ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ, ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲐ; ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲗᲮᲝᲕ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲑᲡ. ᲘᲥᲝᲜᲘᲝᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ.

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ Გ. Ი. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ. (5—1)

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲢᲔᲠᲯᲐᲜᲘᲐᲜᲪᲘ

მიიღებს ავად-მყოფებს დილის 7 საათიდამ შუადღის 12-მდე.

სოლოლაკი, ბაღის ქუჩა სახლი თუთუნოვისა № 34. (5—5)

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲐᲫᲚᲘᲗ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ 1882 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲛ 1883 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲛᲘᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲚᲡ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ ᲙᲕᲘᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ,—ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲘᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲠᲐᲪ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲢᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲕᲘᲢᲐᲜᲪᲘᲐ; ᲨᲔᲣᲛᲚᲘᲗᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲣᲛᲠᲐᲕᲐᲨᲘᲐᲪ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲔᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ. (3—3)

Ი. ᲓᲐ Ვ. ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲗᲐ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ, ᲡᲝᲑᲝᲠᲝᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ.

ᲠᲝᲓᲘᲡᲔᲚᲡᲐᲪ ᲬᲘᲜᲔᲓ Ჰ. Ფ. ᲑᲔᲠᲐᲠᲓᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲔᲠᲥᲕᲐ, ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲕᲮᲛᲐᲠᲝᲑᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲚᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲘᲓᲔᲓᲔᲒ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲡ ᲘᲧᲝ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲥᲪᲔᲡ ᲐᲛᲘᲔᲠ. ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲖᲔᲓ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲡᲧᲝᲑᲘ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲘᲒᲐᲡᲐᲡᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲝᲜᲚᲘᲡᲐ: ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ: ᲗᲝᲗᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲚᲘᲢᲔᲔᲑᲘᲡᲐ, ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲠᲕᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲯᲝᲯᲝᲖᲔᲑᲘᲡᲐ, ᲩᲐᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ, ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘᲡᲐ, ᲙᲐᲙᲐᲝᲡᲘ, ᲓᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲮᲝᲜᲘᲡᲐ, ᲨᲠᲝ ᲙᲔᲑᲘᲡᲐ, ᲪᲮᲕᲘᲠ-ᲡᲐᲮᲝᲪᲘᲡᲐ, ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡᲐ, ᲙᲐᲠᲐᲜᲓᲐᲨᲘᲜᲘᲡᲐ, ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡᲐ, ᲣᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲣᲒᲠᲘᲡᲘᲡᲐ (ᲒᲣᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲙᲚᲔᲣᲨᲘᲜᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲡᲐ) ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲛᲐᲙᲘᲜᲢᲝᲨᲘᲡ ᲛᲝᲐᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲐᲓ ᲙᲜᲗᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲠᲯᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲮ. ᲛᲣᲠᲐᲑᲘᲡᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲮᲣᲚᲭᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲓᲣᲑᲘᲡᲐ ᲜᲘᲢᲘᲜᲒᲐᲛᲘᲓᲐᲛ. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲭᲐᲜᲡ ᲒᲘᲐᲠᲔᲑᲘ. (100—60)

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1882 ᲬᲚᲘᲡ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲖᲔ“

ᲐᲛ 1882 ᲬᲔᲚᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲘᲛᲘᲕᲔ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲒᲠᲪᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ 1881 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: 1) ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘᲣᲚᲘ—ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲞᲝᲔᲛᲔᲑᲘ, ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ. 2) ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ, ᲔᲗᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ, ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. 3) ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ: ᲐᲛ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲥᲪᲔᲣᲚᲘ „ᲨᲘᲡᲐᲣᲠᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲡ“. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲔᲪᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐ-ᲛᲔᲑᲠ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲘᲧᲝᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲞᲘᲠᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚ-ᲧᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲒᲔᲜᲔᲚᲐᲓ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ**—ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲔᲪᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲡᲐ-ᲓᲐ-ᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔᲓ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ. **ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ**—ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲖᲔᲓ. **ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**—ᲒᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲜᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲐᲥᲢᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ**—ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲘᲐᲜ. **ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ**—ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ.

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ-ᲓᲐ-ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲗᲐᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ.

ᲤᲐᲡᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ 1882 ᲬᲚᲘᲡᲐ (ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ) 7 (ᲨᲕᲘᲓᲘ) ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲣᲠᲡ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲖᲔᲓ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲗᲛᲐ-ᲬᲘᲓᲐᲨᲘ, ᲮᲔᲩᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ, ᲤᲐᲠᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 9 ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲦᲗᲐᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію журнала „ИВЕРІЯ“. (3—3)

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ, ᲜᲝᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲛᲘᲦᲖᲘᲐ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲐᲡᲘᲗ. (5—3)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. ᲘᲥᲕᲔ **ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:** ᲞᲐᲠᲣᲡᲘᲜᲐ 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—53)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოხებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუგრისისა (გემრიელი კლუშჩინი ზეთისა) და სხვ. **საუკეთესო** მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯრის და კაშ. მურაბისა, აგრეთვე ხუდქებისა და წინდებისა ნიტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—60)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ნაკლებ ფასამ სხვა ადგილს ჩაი, კაკაო, შოკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, ოიეშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, ზირის-საბანი, კლიტეები, სამურგალი, ტანისამოსის საკიდი, ჯოგზები, დანები, კალმები, ქალალდი, კანვერტები, რეგულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ზდაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიტანკა, უნაგირები, ლაგმები, უოოები, ტახტები, ზირისხოტი, ცხვირის-სახოტი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუნები, შარბათი, ტიტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, ბორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** იქვე ჩაი ვაჭრობათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უბირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქალალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შუფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუქ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲡᲘᲜᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲗᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲘᲗᲘᲚᲘᲡᲨᲘ. (100—59)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 ᲞᲔᲜᲐᲚᲘ თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი ᲑᲝᲠᲢᲕᲔᲘᲜᲘᲡᲐ და ᲮᲔᲠᲔᲡᲘᲡ თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუქინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲑᲠᲘᲜᲯᲘ 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ᲚᲔᲑᲘᲝᲨᲕᲐ 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის **რევოლვერი** 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის **თოფი** თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** (40—16)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Января 1882 г. *Типографія С. Меликова.* ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘ.